112-ის ჯამი

1 წელი თქვენთან ერთად

ჟურნალის - „112-ის დროით" ბეჭდურ გამოცემას ერთი წელი შეუსრულდა

უკვე ერთი წელია, „112"-ის დირექტორის გიორგი ბიჭაშვილის ინიციატივით, ჟურნალის რედაქცია „112"-ის თანამშრომლებს ბეჭდური სახით აწვდის ინფორმაციას სამსახურის მიმდინარე მოვლენებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ერთი წლის იუბილესთან დაკავშირებით, გთავაზობთ შემაჯამებელ ნომერს, სადაც გაეცნობით ყველა იმ საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენას, რაც ერთი წლის განმავლობაში „112"-ის დეპარტამენტში განხორციელდა.

ჩვენ ვაგრძელებთ პროექტს და მაისი-ივნისის საინტერესო სიახლეებსა და სამომავლო გეგმებს ივნისის ბოლოს შემოგთავაზებთ.

პატივისცემით,
ჟურნალის რედაქცია

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე

გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი

დიზაინი თეა კუპრაძე

01 რუსთავში შსს-ს 112-ის ახალი ცენტრი გაიხსნა 83.4-5

02 112-ის არსებობის 5 წელი საქართველოში და 3 საერთაშორისო წარმატება 83.6-7

03 112-ის დღე 83.8-9

04 საბავშვო პროექტები 83.10-13

05 ცნობადობის გაზრდა არარეზიდენტებში 83.14-16

06 112 პირველად სრული შემადგენლობით პოლიციელის დღეზე 83.17

07 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციის წევრები სტუმრად 112-ში 83.18-19

08 112-ის ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა 83.20

09 112-ის ინოვაციური პროექტები 83.21-24

10 112-ის დეპარტამენტი პარიერული განვითარების ფორუმზე 83.25

01 რუსთავში შსს-ს 112-ის ახალი ცენტრი გაიხსნა

2016 წლის 25 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა და შს მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა რუსთავში შსს-ს „112“-ის ახალი ცენტრი გახსნეს. ღონისძიებას საქართველოს მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალი ცენტრი გადაუდებელი დახმარების მსოფლიოს საუკეთესო ცენტრების გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნა. რუსთავის „112“ თბილისის ცენტრის პარალელურ რეჟიმში იმუშავებს და მთელი საქართველოს მასშტაბით, მოქალაქეთა ზარებს 24 საათის განმავლობაში მიიღებს. ახალი ცენტრის მიზანია „112“-ის გამართული, უწყვეტი ფუნქციონირება და თბილისის ცენტრის განტვირთვა და დაზღვევა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგებულ და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ „112“-ის ახალ ცენტრში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სამუშაო გარემოა შექმნილი. შენობაში არსებული ე.წ. ანტისტრესული ოთახები იქ მომუშავე დისპეტჩერ-ოპერატორებს რთული სამუშაო პროცესის შემსუბუქების საშუალებას მისცემს. რუსთავის ცენტრში ასევე, განთავსებულია სასწავლო ცენტრი, რომელიც პროფესიონალ ოპერატორ-დისპეტჩერებს მოამზადებს.

ცენტრის გახსნის ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები 4 წლის განმავლობაში შსს-ს „112“-ში წარმატებით განხორციელებულ და დაგეგმილ, ინოვაციურ პროექტებს გაეცნენ, არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და პირველი ზარის მიღების პროცესსაც დაესწრნენ. მთავრობის მეთაურის, გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, „112“ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია და მისი გამართული და უწყვეტი ფუნქციონირება სახელმწიფოსთვის და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. პრემიერი დარწმუნებულია, რომ ორივე ცენტრის პარალელური გამართული მუშაობა კიდევ უფრო ეფექტიანი იქნება და უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას.

"შსს-ს „112"-ის დეპარტამენტი არის ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ერთიანი სამსახური, რომელიც გადაუდებელი შემთხვევების შესახებ პირველი იღებს ინფორმაციას ჩვენი მოქალაქეებისგან. ჩვენ ვიცით, რომ ფორსმაჟორულ ვითარებაში ყველა წამი გადამწყვეტია და ყოველთვის უნდა ვიყოთ მზად კვალიფიციური დახმარებისათვის. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დაცული იყოს თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და მუდმივად ვითვალისწინებთ მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკას", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

"საზოგადოების უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფის და ამ კუთხით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შსს მუდმივ ტექნოლოგიურ განვითარებაზეა ორიენტირებული. იმისთვის, რომ ნებისმიერ გამოწვევაზე სახელმწიფოს რეაგირების სტანდარტი იყოს უფრო მაღალი, დღეს რუსთავში მუშაობას იწყებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ალტერნატიული ცენტრი. შსს-ს „112" სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია. ის წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს ყველაზე მძიმე წუთებში მყოფ მოქალაქესა და საგანგებო-სამაშველო სამსახურებს შორის. შესაბამისად, მისი გამართული და უწყვეტი ფუნქციონირება სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია". - განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

"ერთი წლის წინ შსს-მ დავისახეთ მიზნად, რომ ქ. რუსთავში აშენებულიყო „112"-ის ახალი ცენტრი, რაც მიღწეულ იქნა. თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს მიზანი, ვისწრაფოდეთ მისკენ და სწორედ ამ მიზანსწრაფვას მოაქვს შედეგი. შედეგი კი არის ახალი ცენტრი. ეს ცენტრი მაგალითია იმისა, თუ როგორც შეგვაქვს ჩვენი წვლილი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში. ჩვენ ასევე წინ გვაქვს მიზნები, რომელიც აუცილებლად იქნება მიღწეული და განხორციელებული." - განაცხადა გიორგი ბიჭაშვილმა.

02 112-ის არსებობის 5 წელი საქართველოში და 3 საერთაშორისო წარმატება

საქართველო ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი 2013 წლის, 3 სექტემბერს გახდა.

ასოციაციის მიზანია, ევროპის მასშტაბით „112"-ის დანერგვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა.

2008 წლიდან, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) დაჯილდოების ცერემონიას სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად ატარებს. სპეციალური ჯილდო კონკრეტულ პირებსა და ორგანიზაციებს, დისპეტჩერებსა და საგანგებო სიტუაციების მართვის იმ ცენტრებს გადაეცემათ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ერთიანი საგანგებო ნომრის - „112"-ის მომსახურების გაუმჯობესებისა და ცნობადობის გაზრდის პროცესში.

„ჩვენთვის, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციისთვის, ძალიან სასიამოვნო იყო, რომ წელს კიდევ ერთხელ გადავეცით ჯილდო საქართველოს „112"-ს. ეს ჯილდო მათ ახალი SMS და ვიდეო ზარის სერვისისთვის გადაეცათ, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დახმარებას გულისხმობს.

მე ვარ ამაყი, რომ წელსაც საქართველოს „112"-ს ვმასპინძლობთ."

დემეტრიოს პიროსი
ევროპის საგანგებო ნომრის
ასოციაციის პრეზიდენტი

2014

EENA 80-ზე მეტი ქვეყნის 1200-მდე გადაუდებელი დახმარების სფეროს წარმომადგენელს, 15 საერთაშორისო ასოციაციას/ორგანიზაციას, ევროპარლამენტის 200-ზე მეტ წევრსა და 90 მკვლევარს აერთიანებს.

2015

შსს-ს „112"-ის დეპარტამენტი „საუკეთესო ოპერატორის" კატეგორიაზე იყო ნომინირებული. საქართველო, პოლონეთთან ერთად, როგორც საუკეთესო კანდიდატი აღნიშნული ნომინაციისთვის, EENA-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა შერჩეული.

2016

საქართველოს „112"-მა „განსაკუთრებული მოქალაქის" ნომინაციაში გაიმარჯვა. გამარჯვებული გახდა 8 წლის ლექსო ბოჟაძე, რომელმაც საკუთარი დედის სიცოცხლე გადაარჩინა მხოლოდ იმით, რომ იცოდა, სად უნდა დაერეკა და როგორ მოქცეულიყო გადაუდებელი შემთხვევის დროს.

საქართველოს „112"-მა ნომინაციაში - „ინოვაციური სერვისი" SMS და ვიდეო ზარის სერვისით 82 ქვეყანას შორის გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ შსს-ს „112"-ის დეპარტამენტი ინოვაციური სერვისებისა და დაკავშირების ალტერნატიული არხების დანერგვაზე მუდმივად მუშაობს. ცენტრისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მყოფმა ნებისმიერმა მოქალაქემ საგანგებო სიტუაციებში „112"-თან დაკავშირება შეძლოს. ამ მიზნით, საქართველოს „112"-მა 2015 წლიდან დანერგა SMS და ვიდეო ზარის სერვისი, რომელიც ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს საშუალებას აძლევს მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში, დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ გადაუდებელი დახმარების ნომერს. SMS და ვიდეო ზარის სერვისით სარგებლობა უფასოა. „112"-ში შესულ შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები იღებენ. სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია ვებგვერდზე www.112.gov.ge.

პროექტი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, განხორციელდა.

03 112-ის დღე

2009 წლიდან ევროკავშირის გადაწყვეტილებით 11 თებერვალი „112“-ის დღედ აღინიშნება. მსოფლიოს 81 ქვეყანა, სადაც „112“ ფუნქციონირებს ამ დღეს სხვადასხვა სახის ღონისძიებით აღნიშნავს.

რატომ 11 თებერვალი?

11 თებერვალი წარმოადგენს საგანგებო ნომრის სამი ციფრის კომბინაციას:

11.02

საქართველოს „112“ აღნიშნულ დღეს 2013 წლიდან აქტიურად აღნიშნავს.

მიზანი

აღნიშნული დღის მიზანია ნომრის ცნობადობის გაზრდა. გარდა ამისა, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) ასახელებს წლის თემას, რომელიც ყველა ქვეყანამ აქტივობების დაგეგმვაში უნდა გაითვალისწინოს.

ყოველ წელს „112“-ის მენეჯმენტი სამინისტროსა და მომიჯნავე სამსახურების ხელმძღვანელებს აცნობს დეპარტამენტის შესრულებულ სამუშაოს შედეგებსა და სამომავლო გეგმებს, ხოლო წლის საუკეთესო ოპერატორები და დისპეტჩერები მინისტრის მადლობის სიგელებით ჯილდოვდებიან.

გარდა შიდა ღონისძიებებისა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებასთან კომუნიკაციას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, აქტივობები აეროპორტსა და ხალხმრავალ ადგილებში, შეხვედრები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, კონკურსები და კამპანიები სოციალურ მედიაში, სატელევიზიო და რადიო გადაცემები. თითოეული ღონისძიება მოსახლეობაში საგანგებო სიტუაციების დროს ინფორმირებულობის გაზრდას და „112“-ის მიზნობრივად გამოყენებას ისახავს მიზნად.

წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტმა, სპეციალურად ამ დღისთვის, „გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის“ კვირეული გამოაცხადა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანია განახორციელა.

„112“-ს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოცხადდა „ცნობადობის გაზრდის კვირეული“, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას მიეწოდა მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ.

ასევე, აღნიშნული კვირეულის ფარგლებში „112“-ს კავკასიის ფრანგული სკოლის 100-მდე მოსწავლე ესტუმრა. სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია და სამსახურის მუშაობის სპეციფიკის შესახებ სრული ინფორმაცია მიიღეს.

„112“-ის დაარსებიდან დღემდე, არაგადაუდებელ შემთხვევებთან დაკავშირებული შეტყობინებები **1 351 087**-ით შემცირდა, რისთვისაც „112“-მა მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა.

11 თებერვალი
112-ის დღე
სასწრაფო სამედიცინო
სახანძრო / სამაშველო
პოლიცია
112

112
ცნობადობის
გაზრდის
კვირეული
ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ
ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!
112-ᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ
ᲐᲠᲐᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ
ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ
1.351.087-ᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ
#გაᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘᲜᲐᲑᲘᲯᲘ♥

04 საბავშვო პროექტები

2014 წელს „112“-ის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლის მოსწავლეებში ნომრის ცნობადობა დაბალია. სწორედ ამიტომ, „112“-ის დეპარტამენტმა შეიმუშავა მოზარდებზე ორიენტირებული პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ სეგმენტში ცნობადობის გაზრდას.



„112-ის კოსმოსური ხომალდი“

„112-ის კოსმოსური ხომალდი“ არის ინოვაციური პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა „112“-ის შენობის იდენტური მინი კონსტრუქცია, სადაც ფუტურისტული იმიჯის მქონე ოპერატორები ბავშვებს სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებს ათამაშებენ. თამაშებში გამარჯვებული ბავშვები ხდებიან „112-ის კოსმოსური ხომალდის წევრები“ და ჯილდოვდებიან სპეციალური საშვით, რომლითაც შესაძლებლობა აქვთ ეწვიონ ნამდვილ „112“-ს.

ქოლ-ცენტრში ვიზიტისას, ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა თავად ნახონ თუ როგორ ეხმარებიან ოპერატორები გადაუდებელ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს.

პროექტის მიზანია „112“-ის მთავარი გზავნილების მიწოდება მოზარდებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ამ ეტაპზე, 500-ზე მეტმა ბავშვმა შეძლო გამხდარიყო „112-ის კოსმოსური ხომალდის წევრი“.

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 2016 წლის 26 მაისს, თბილისში, ვარდების მოედანზე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეებს იმიტირებულ ქალაქში - „ეს ჩემი ქალაქია“ უმასპინძლა. „112“ წარმოდგენილი იყო ინოვაციური საბავშვო პროექტით - „კოსმოსური ხომალდი“.

„უსაფრთხო ქალაქი თბილისი მოლში“

2016 წლის 24-25 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოზარდებში მართლწესრიგის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, „თბილისი მოლში“ იმიტირებული „უსაფრთხო ქალაქი“ მოაწყო. შსს-ს „112“-ის დეპარტამენტმა „უსაფრთხო ქალაქში“ საბავშვო პროექტი „კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა.

112 ნატო-ს დღეებზე

2017 წლის 2 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტმა ნატო-ს დღეების გახსნაზე საბავშვო პროექტი - „კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა.

ნატო-ს დღეებზე, რომელიც უკვე მეათე წელია, ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით იმართება „112“-მა პირველად მიიღო მონაწილეობა.

112-ის ახალი ინიციატივა ბავშვებისთვის - „112-ის გმირი"

2016 წელს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ამიერიდან, ყოველი წლის 1 ივნისს „112-ის გმირის" წოდებით დაჯილდოვდება ყველა ბავშვი, რომელმაც კარგად იცის, როგორ უნდა მოიქცეს გადაუდებელ შემთხვევებში და როგორ გაუწიოს ახლობელ ადამიანებს დროულად დახმარება.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, 2016 წლის 1 ივნისს, შს მინისტრის მოადგილემ, დავით ვარდიაშვილმა 4 მოზარდი „112-ის გმირის" წოდებით დააჯილდოვა. მან ბავშვებს „112"-ის ცენტრში უმასპინძლა და სპეციალურად მათთვის დამზადებული მედლები და სიგელები გადასცა.

„112-ის გმირებმა" საგანგებო სიტუაციების დროს, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს და ოპერატორებთან ყველა წესის დაცვით ითანამშრომლეს: 13 წლის გიორგი კოსტავამ „112"-ში მეგობრის დასახმარებლად დარეკა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა; 12 წლის ლიზი ჭუმსიაშვილმა, მეგობრის ორსულ დედას, შვილის ფეხის დაზიანების ამბავი არ შეატყობინა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა თავად გამოიძახა; 11 წლის დეა გელაძემ „112"-ში ზარი შეუძლოდ მყოფი ბებიის დასახმარებლად განახორციელა; 15 წლის ნინო ადამაშვილმა კი გადაუდებელი დახმარების ნომერზე ბოლნისიდან დარეკა და ოპერატორს თავის სახლთან ხის წაქცევის საშიშროების შესახებ აცნობა.

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, ბავშვებმა „112"-ის ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს და პირადად შეხვდნენ ოპერატორებს, რომლებიც მათ მძიმე წუთებში დაეხმარნენ.

სკოლის მოსწავლეები სტუმრად 112-ში

„112“ ახორციელებს პროექტს „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“. პროექტის ფარგლებში, თბილისის ცენტრს 2016 წლის სექტემბრიდან აპრილამდე საჯარო და კერძო სკოლების **1000**-მდე სკოლის მოსწავლე ესტუმრა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოზარდებს მიეწოდოთ ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ. „112“-ის წარმომადგენელი პრეზენტაციის სახით აწვდის ინფორმაციას მოზარდებს თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი შემთხვევების დროს და როგორ ითანამშრომლონ ოპერატორთან.

ვიზიტის დროს, მოზარდებს ასევე, განემარტებათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და ის სანქციები, რაც გათვალისწინებულია ცრუ ზარის განხორციელების დროს.

05 ცნობადობის გაზრდა არარეზიდენტებში

შსს-ს „112“-ის დეპარტამენტი ახორციელებს პროექტს „ცნობადობის გაზრდა არარეზიდენტებში“, რათა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ ტურისტებს ჰქონდეთ ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ.

„112“-ის დაკვეთით, 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემური სეგმენტები. ერთ-ერთ მათგანს სწორედ არარეზიდენტები წარმოადგენს. კერძოდ, ტურისტების 76%-მა არ იცის, თუ გადაუდებელი დახმარების რომელი ნომერი მოქმედებს საქართველოში. კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ტურისტების ნახევარზე მეტი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ ინფორმაციის მიღებას ტურისტული კომპანიებისაგან ელის. (მაგ. ელექტრონული ფოსტით, ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით და ა.შ.). სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტურიზმის სფეროში მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტიურ უწყებას, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას მივმართეთ ინიციატივით: ერთობლივი ძალებით ხელი შევუწყოთ ტურისტების ინფორმირებულობას, რაც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე სანდო და მზრუნველი ქვეყნის სტატუსს დაუმკვიდრებს. აღნიშნული ინიციატივით, „112“-მა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც მიმართა და ცენტრში უმასპინძლა, რაც ვფიქრობთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კამპანიის საბოლოო შედეგის მიღწევაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ვრცლად იხილეთ ქვემოთ:

ინგერნეგაქტივობები:

- საქართველოში მოქმედი ტურისტულ სააგენტოებისა (კომპანიების) და სასტუმროების ოფიციალური Facebook და ვებგვერდებზე „112“-ის შესახებ ინფორმაციის დამატება.
- „112“-ის შესახებ ინფორმაციის დამატება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე და თითოეული თანამშრომლის ელექტრონული ფოსტის საკონტაქტო ველში.

112-ის საინფორმაციო ფლაერები ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში

„112“-მა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელიც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში „112“-ის საინფორმაციო ფლაერების განთავსებას.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტურისტებს ჰქონდეთ უსაფრთხოების განცდა და გადაუდებელი შემთხვევისას, იცოდნენ თუ რა ნომერზე უნდა დარეკონ დახმარების მისაღებად.

112-ის საინფორმაციო ბანერები საქართველოს მასშტაბით

2013 წლიდან „112“-მა დაიწყო საინფორმაციო ბანერების განთავსება ტურისტულად აქტიურ ადგილებში.

პროექტის მიზანია, ტურისტებმა მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის შესახებ და იცოდნენ, სად დარეკონ, როდესაც საჭიროა საპატრულო, სახანძრო-სამაშველო თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

გოდერძის ნაგორევში

პროექტი რამდენიმე ეტაპად განხორციელდა და ახლაც მიმდინარეობს:

I ეტაპი - საინფორმაციო ბანერები სამთო-სათხილამურო კურორტებზე: ბაკურიანში, გუდაურში

II ეტაპი - საინფორმაციო ბანერები ბათუმში, ქობულეთში, სარფში, გონიოში, შეკვეთილში, ურეკსა და მესტიაში

III ეტაპი - საინფორმაციო ბანერები რაჭაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში

IV ეტაპი - საინფორმაციო ბანერები სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე

მიმდინარე ეტაპზე იგეგმება არსებული ბანერების განახლება, ასევე შერჩეულია ახალი, ტურისტულად აქტიური და ხალხმრავალი ადგილები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ყაზბეგის გამშვები პუნქტი

დიპლომატიური კორპუსის ჩართულობა საინფორმაციო კაპანიაში

პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 6 სექტემბერს, „112“-ს შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მარტინა ქვიქი ესტუმრა.

20 სექტემბერს, კი „112“-ს საქართველოში აშშ-ს ელჩი იან კელი, სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროსი მაიკლ მაკმენი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში პასკალ მენიე და საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების ატაშე ბრუნო ბალდუკი ესტუმრნენ.

სტუმრებმა „112“-ში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა სახის აქტივობა, რაც ტურისტების ინფორმირებულობის დონეს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

06

112 პირველად სრული შემადგენლობით პოლიციელის დღეზე

2016 წლის 2 ივნისს შსს-მ პოლიციელის პროფესიული დღე თბილისში აღნიშნა, სადაც „112“-ის დეპარტამენტი სრული შემადგენლობით პირველად წარსდგა.

საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები: ლიტვის, მოლდოვისა და ბელორუსის შინაგან საქმეთა მინისტრები, ასევე, სხვა ქვეყნების ოფიციალური პირები.

მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შს სამინისტროს გამორჩეულ თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის, ვადამდელი წოდება მიანიჭა, სამკერდე ნიშნები და მადლობის სიგელები პირადად გადასცა.

07 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციის წევრები სტუმრად 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს მუდმივად სტუმრობს სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის საინტერესოა საქართველოს „112“-ის მიერ დანერგილი სერვისებისა და ჭოლ-ცენტრის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა.

ვიზიტების ფარგლებში, „112“-ის დირექტორი, გიორგი ბიჭაშვილი დელეგაციის წევრებს პირადად აწვდის ინფორმაციას განხორციელებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. სტუმრებს საშუალება ეძლევათ დააკვირდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს 2016 წლის მაისიდან დღემდე 12 ქვეყნის დელეგაცია ეწვია:

- კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერთა დელეგაცია, პრეზიდენტობის კანდიდატ ქრისტიან მალანგას ხელმძღვანელობით
- ბელარუსის რესპუბლიკის დელეგაცია, საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის ივან ნოსკევიჩის ხელმძღვანელობით
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რაინლანდ-პფალცის ფედერალური მიწის შსს-ს დელეგაცია
- ინდონეზიის დელეგაცია, იუსტიციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მინისტრის იასონნა ლაოლის ხელმძღვანელობით
- იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს შსს-ს ჟანდარმერიის დელეგაცია, გენერალური დირექტორის, გენერალ-მაიორ ჰუსეინ ალ ჰავათმეს ხელმძღვანელობით
- ლიტვის რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის გენერალური კომისრის მოადგილე რიმანტას ბობინასი და კრიმინალური პოლიციის ბიუროს დელეგაცია
- მოლდოვის რესპუბლიკის გადაუდებელი დახმარების ნომრის - 112-ის და სასწრაფო დახმარების ეროვნული ცენტრის დელეგაცია
- საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის კრიმინალური პოლიციის დელეგაცია
- საფრანგეთის კონსული - სინდი სკრივენი და საფრანგეთის საელჩოს დელეგაცია
- ყირგიზეთის ძალოვანი უწყებების დელეგაცია
- შვედეთის ეროვნული პოლიციის კომისრის მოადგილე, მეტს ლოფვინგი და შვედი სამართალდამცველების დელეგაცია
- ბელარუს ჟურნალისტთა დელეგაცია

POLIS
EXIT

GPS TRACKER

08 112-ის ინიციატივით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა

2016 წლის 23-24 ივნისს, შსს სსიპ „112“-ის ინიციატივით, ფართომასშტაბიან საგანგებო სიტუაციებში ოპერირების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით ჩატარდა.

ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე დავით ვარდიაშვილი, „112"-ის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისა და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, დიდი ბრიტანეთიდან, ფინეთიდან, ესტონეთიდან, ლიტვიდან, რუმინეთიდან, ბელგიიდან და საფრანგეთიდან.

კონფერენციას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილე შტეფენ შთორქი და ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) პრეზიდენტი დემეტრიოს პიროსი. მოწვეულმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებს კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წესების, ფართომასშტაბიან შემთხვევებში მოსახლეობის ინფორმირების, ქოლ-ცენტრის მოწყობისა და მომიჯნავე სამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საჯარო უწყებების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ. კონფერენციის ფარგლებში, სტუმრებმა თბილისის ცენტრი დაათვალიერეს, „112“-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ, ასევე, ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს დააკვირდნენ.

09 112-ის ინოვაციური პროექტები

2016 წლის 26 სექტემბერს, შსს-ს „112“-ის დეპარტამენტმა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამი ახალი საპილოტე პროექტის: „მობილური აპლიკაცია“, „eCall Georgia“ და „პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის“ პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, შსს-ს დეპარტამენტების ხელმძღვანელები, თბილისის მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„112“-ის საქმიანობა ძირითადად სწორედ ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. ამდენად, ცენტრის მთავარი პრიორიტეტი თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული პროექტებია. ეს პროექტები ბევრად მობილურს ხდის „112“-ის მომსახურებას და კიდევ უფრო მეტად ხდება მომხმარებლის ინტერესებსა და მოთხოვნებზე ორიენტირებული“, - განაცხადა შს მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა.

პრეზენტაციაზე მოწვეულმა სტუმრებმა „112“-ის ახალი პროექტების ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

დასავლური სტანდარტების, თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული პროექტები „112“-ის მომსახურებას კიდევ უფრო გააუმჯობესებს, საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების დროს საგრძნობლად შეამცირებს და მოქალაქეთა უსაფრთხოების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

შსს-ს „112“-ის დეპარტამენტის საქმიანობა ძირითადად ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ცენტრის ამ მიმართულებით განვითარებაზე. დღევანდელი ჩვენი ღონისძიების მთავარი მიზანს წარმოადგენს გაგაცნოთ თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული სამი ახალი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დროის შემცირებას.

მინდა აღვნიშნო, რომ საწყის ეტაპზე „112“-ში დარეკვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ფიქსირებული ან მობილური ტელეფონით. შეუძლებელი იყო დაკავშირება ისეთი ადგილებიდან, სადაც არ იყო მობილური ოპერატორის დაფარვის ზონა, ასევე გადაუდებელი დახმარების ნომერზე დაკავშირება დამოუკიდებლად არ შეეძლოთ სმენადაქვეითებულ პირებს. დღეს „112“-თან დაკავშირება შესაძლებელია უკვე 8 სხვადასხვა არხით.“

გიორგი ბიჭაშვილი
შსს-ს 112-ის დეპარტამენტის დირექტორი

ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი სიახლე დაინერგა „112“-ში, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სიგნალი ავტომატურად შევა ცენტრში eCall-ის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ მე ვარ პროფესიონალი ავტომრბოლელი და ყოველთვის ვიცავ საგზაო მოძრაობის წესებს, მაინც ავტოსაგზაო შემთხვევისგან არავინ არის დაზღვეული. ამიტომ, გადავწყვიტე მესარგებლა ახალი სერვისით და ჩემს ავტომობილში უკვე დამონტაჟებულია ეს ახალი სისტემა (IVS).
მე ვარ მშვიდად, რადგან შეჯახებისას, მე თუ ვერ შევძლებ „112“-თან დაკავშირებას, ეს სისტემა ავტომატურად გააგზავნის სიგნალს ცენტრში და შესაბამისი სამსახურები მოახდენენ უსწრაფეს რეაგირებას“.

დათა ქაჯაია
პროფესიონალი ავტომრბოლელი და
ევროპის ჩემპიონი

მობილური აპლიკაცია / საგზესგზო რეკვიზი/

შსს-ს სსიპ „112“-ის მობილური აპლიკაციის ტესტირების პროცესში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის 100-მდე სტუდენტი ჩაერთო.

მობილური აპლიკაცია მსოფლიოს მხოლოდ 13 ქვეყანაშია დანერგილი.

აპლიკაციის მთავარი უპირატესობაა - ადგილმდებარეობის დადგენა და შესაბამისი კოორდინატების გაგზავნა ცენტრში.

აპლიკაციის მეშვეობით 112-თან დაკავშირება შესაძლებელია:

- ზარის განხორციელებით - პარალელურად შესაძლებელია ცენტრში კოორდინატების გაგზავნა
- ოპერატორთან მიმოწერით (ჩატი)
- ჩუმი განგაშით (SOS)- აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია განგაშის სიგნალისა და კოორდინატების გაგზავნა „112“-ში

!!! მნიშვნელოვანია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მოქალაქეს შეუძლია კოორდინატები გააგზავნოს „112“-ში, მაშინაც, როცა ინტერნეტ სერვისი მიუწვდომელია.

აპლიკაციით სარგებლობისთვის აუცილებელია:

- საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების ქსელში ორმხრივად ჩართული ტელეფონის ნომერი
- გააქტიურებული GPS სერვისი

✓ აპლიკაცია უფასოა, გააჩნია IOS-ის და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა და ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.



eCall Georgia /საგზესგზო რეკვიზი/

„eCall Georgia“ წარმოადგენს პროექტს, რომელიც გულისხმობს ავტოსაგზაო შემთხვევისას „112“-თან დაკავშირების შესაძლებლობას ორ რეჟიმში:

✓ ავტომატური - ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომატურად იგზავნება განგაშის სიგნალი „112“-ში კოორდინატების დაფიქსირებით

✓ მანუალური - ღილაკზე თითის დაჭერით შესაძლებელია „112“-თან დაკავშირება და სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია კოორდინატების ცენტრში გადაგზავნა

eCall-ის საშუალებით „112“-ში შედის შემდეგი მონაცემები:

- შემთხვევის ადგილის კოორდინატები
- ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი
- მანქანის მფლობელის საკონტაქტო ინფორმაცია
- ავტომანქანის ტიპი
- გამოძახების ტიპი (მანუალური/ავტომატური)

სერვისით სარგებლობა უფასოა.

ახალი სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია ავტომანქანაში ჩამონტაჟებული იყოს IVS (In-Vehicle System) სისტემა, რომლის ინსტალაცია შეუძლია ქართულ ბაზარზე არსებულ სხვადასხვა კომპანიას. (მაგ.: GeoGPS, MyGPS და ა.შ)

„პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის“

„112“-ის მიერ შეიქმნა პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის, რომელიც ოცმეთაურებს და ათმეთაურებს დეტალურ ინფორმაციას აწვდის გადაუდებელ შემთხვევებთან დაკავშირებით. გადაუდებელი დახმარების შესახებ შეტყობინება სრულად უჩანთ შესაბამის კვადრატზე მოძრავ ეკიპაჟებს პორტატულ კომპიუტერებში. პროგრამის უპირატესობები:

- შეტყობინების ელექტრონულად გადაცემა
- ვერბალური კომუნიკაციის დროის შემცირება
- ეკიპაჟის ინფორმირება დამატებითი საგანგებო სამსახურების საჭიროების შესახებ
- ინფორმაციის მიწოდება უფრო სწრაფად და სრულყოფილად
- „112“-ში დამატებითი ინფორმაციის შემოსვლის შემთხვევაში, ეკიპაჟთან ინფორმაციის ავტომატურად განახლება

შეტყობინების გადაცემის საშუალებები:

- რაცია
- სატელეფონო კავშირი
- ვიზუალური სახით ინფორმაციის გადაცემა

✓ ანალოგიური პროგრამა უახლოეს მომავალში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვისაც დაინერგება.

10 112-ის დეპარტამენტი კარიერული განვითარების ფორუმზე

2016 წლის 22 ივნისს შსს-ს აკადემიაში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 13 უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის 200-მდე სტუდენტს შსს-ს აკადემიაში გამართულ კარიერული განვითარების ფორუმზე უმასპინძლა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო შსს-ს სხვადასხვა დეპარტამენტმა, მათ შორის შსს სსიპ „112“-მა.

„112“-ის წარმომადგენლებმა სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდეს სამსახურის საქმიანობასა და არსებული ვაკანსიების შესახებ.

ფორუმის მიზანს უწყების მუშაობის შესახებ სტუდენტების ინფორმირება და კვალიფიციური, მოტივირებული კადრების მოზიდვა წარმოადგენდა. კარიერული განვითარების ფორუმი შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოველწლიურად გაიმართება.

112

როცა წამები გადამწყვეტია...